## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 33

### გამარტივებული შესყიდვა

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 27 ივნისს ქ. თბილისში

**შემსყიდველი:** სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ბექა ჯაყელის სახით.

**მისამართი:** ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, ტელეფონი 43 69 98

**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ა/ა №200122900,

ს/კ 204578206

**მიმწოდებელი:** შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს"

**მისამართი:** ქ. თბილისი, დ. უზნაძის №2 ბ. 4, **ტელეფონი:** 921554.

**საბანკო რეკვიზიტები:** სს „პროკრედიტ ბანკი" ცფ ბ/კ 220101922, ა/ა 360 201 012 900 209,

ს/კ 202268517

**დირექტორი:** დავით ბოლქვაძე

ერთის მხრივ – **შემსყიდველი,** და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი და ვადა

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველი იურდიული სისტემა „კოდექსის" ყოველკვირეული განახლებით ინტერნეტის საშუალებით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა **2011 წლის 31 დეკემბერი.**

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ფორმით.

### 2. ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულების ფასი შეადგენს: **660.00 ლარს.**

ექვსას სამოცი ლარი და 00 თეთრი

2.1.2 ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს: **60.00 ლარს**

სამოცი ლარი და 00 თეთრი

2.2 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

2.2.1 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### 3. ხარისხი

3.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე და მისი არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო საკითხთა კოორდინატორს **კახა ხეცურიანს,** რომელიც უფლებამოსილია: ჩაატაროს მიწოდებული მომსახურების ინსპექტირება და მომსახურების მიწოდების შემდეგ შეადგინოს და ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის სახელით.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

4.3 3.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი, ამასთან აღნიშნული არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მე-6 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

### 5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

### 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ფასის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 შემსყიდველი 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ფასის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 7. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) გარემოებათა გამო.

7.2 დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.3 მხარე რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარე. თუ ასეთი შეტყობინება გაკეთებული არ იქნა 3 დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე; თუკი შეტყობინების გაუგზავნელობაც არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

### 8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2011 წლის 31 დეკემბრამდე.** ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოწმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმგებლობით, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 15 დღით ადრე, ასეთი განზრახვის შესახებ.

8.5 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

8.6 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| თავმჯდომარის მოადგილე | დირექტორი |
| ------------------------ | ------------------------ |
| ბ. ჯაყელი | დ. ბოლქვაძე |